ოქმი:**ო02.37222131**
თარიღი:**01/08/2022**

ოქმი № 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 ივლისი

ქ.ოზურგეთი

11.30-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, დ. მდინარაძე, გ.შილაკაძე, ბ. კილაძე, ლ. კილაძე, ვ.ხავთასი, ა.ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.
მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დამატებით განხორციელდება ხუთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც კიდევ უფრო კეთილმოწყობილს გახდის ქ. ოზურგეთს. კომისიის წევრებმა მოიწონეს ინფრასტრუქტურული პროექტები .

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ძირითადი პარამეტრების, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ვრცლად ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ანგარიში წარდგენილ იქნას

საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1და 2 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად, ამასთან N 1 საკითხი დამტკიცების, ხოლო N 2 განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი